

მარტოხელა მშობელთა დახმარების პროგრამა

(კონსოლიდირებული)

1. დაფინანსების წყარო:
ვანის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი.
2. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო:
ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური.
3. პროგრამის მიზანი:
პროგრამა ითვალისწინებს მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე იმ პირების ყოველთვიურ ფინანსურ დახმარებას, რომელთაც სტატუსი განესაზღვრათ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1191¹ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების შესაბამისად.“
4. განსახორციელებელი ღონისძიებები:
 - ა) მოქალაქეთა განცხადებების, თანდართული დოკუმენტების განხილვა, შესაბამისი რეაგირება და ბენეფიციარებზე ყოველთვიური ფინანსური დახმარების გაცემა თითოეულ ბავშვზე, რომელთა მიმართაც პირს დაუდგინდა მარტოხელა მშობლის სტატუსი, 100 (ასი) ლარის ოდენობით;
 - ბ) თუ ოჯახი რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში და მისი სარეიტინგო ქულა 1-დან 120 000-მდეა, ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული დახმარების ოდენობა გაიზრდება 20 (ოცი) %-ით.
5. დახმარების მიღების აუცილებელი პირობა:
სავალდებულოა მარტოხელა მშობელი და ის ბავშვები, რომელთა მიმართაც პირს დაუდგინდა მარტოხელა მშობლის სტატუსი, დახმარების მოთხოვნამდე ბოლო ერთი წლის განმავლობაში (ახალშობილის შემთხვევაში, დაბადებიდან დახმარების მოთხოვნამდე), უწყვეტად იყვნენ რეგისტრირებულნი და ფაქტიურად ცხოვრობდნენ ვანის მუნიციპალიტეტში.
6. დამატებითი ინფორმაცია:
 - ა) დახმარების მისაღებად განცხადებასთან ერთად წარმოდგენილი უნდა იქნეს ბენეფიციარის პირადობის მოწმობა, იმ ბავშვების, რომელთა მიმართაც პირს დაუდგინდა მარტოხელა მშობლის სტატუსი, დაბადების ან პირადობის მოწმობები, საბანკო რეკვიზიტი და ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის ცნობა, ოჯახის ვანის მუნიციპალიტეტში ბოლო ერთი წლის განმავლობაში ფაქტიურად ცხოვრების შესახებ.
 - გ) სამსახურს საჭიროების შემთხვევაში უფლება აქვს მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტაცია.
7. მოსალოდნელი შედეგი:
მარტოხელა მშობლების მატერიალური და მორალური თანადგომა.
8. შეფასების კრიტერიუმი:
მარტოხელა მშობლების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მაჩვენებელი.